gef

UNDP

*Empowered lives.*
*Resilient nations.*

# ჰაბიტატების მონიტორინგის ევროპული მიდგომები

# ევროკავშირის ჰაბიტატების დირექტივა

1992 წლის 21 მაისს ევროსაბჭომ მიიღო დირექტივა ბუნებრივი ჰაბიტატებისა და ველური ფლორისა და ფაუნის კონსერვაციის შესახებ (#92/43/EEC). შემოკლებით მას „ჰაბიტატების დირექტივას“ უწოდებენ. ეს დირექტივა („ფრინველთა დირექტივასთან“ ერთად) ევროკავშირის ბუნებისდაცვითი პოლიტიკის ქვაკუთხედია და იგი მიზნად ისახავს ბიომრავალფეროვნების დაცვას ბუნებრივი ჰაბიტატებისა და ველური სახეობების კონსერვაციის გზით. დირექტივა მოითხოვს მნიშვნელოვანი სახეობებისა და ჰაბიტატების აღდგენას და მათი სახარბიელო ეკოლოგიური მდგომარეობის (კონსერვაციული სტატუსის) შენარჩუნებას.

ამ დირექტივით ევროკავშირის ყველა წევრი ქვეყანა ვალდებულია:

- შექმნას „ნატურა 2000-ის“ ქსელი დირექტივაში გაწერილი დებულებებისა და ვადების შესაბამისად;
- დაიცვას და/ან აღადგინოს დირექტივის დანართებში შესული ჰაბიტატები (დანართი I) და სახეობები (დანართი II);
- შეაგროვოს და ევროკომისიას წარუდგინოს სამეცნიერო ინფორმაცია ამ სახეობებისა დაჰაბიტატების შესახებ.

დასაცავი სახეობებისა და ჰაბიტატების ნუსხასთან ერთად, „ჰაბიტატების დირექტივა“ არეგულირებს ჰაბიტატების კლასიფიკაციის საკითხსაც. ევროპის ჰაბიტატების იდენტიფიკაცია და კლასიფიკაცია წლების განმავლობაში იყო კამათისა და დისკუსიის საგანი. სხვადასხვა სამეცნიერო სკოლებს განსხვავებული მიდგომები ჰქონდათ. ხშირად ერთსა და იმავე ჰაბიტატს სხვადასხვა მეცნიერი სხვადასხვანაირად აღწერდა და განსხვავებულ სახელწოდებებს ანიჭებდა.

დღეისათვის შემუშავებულია ევროპის ჰაბიტატების კლასიფიკაციის ახალი სისტემა - ევროპის ბუნების ინფორმაციული სისტემის (EUNIS) ჰაბიტატების კლასიფიკაცია (http://eunis.eea.europa.eu), რომელიც მთელი ევროპის ჰაბიტატების ერთიანი და უნიფიცირებული კლასიფიკაციის სისტემას წარ-მოადგენს. ეს სისტემა ახალი ჰაბიტატების დამატების საშუალებასაც იძ-ლევა (მაგალითად, საქართველოსთვის დამახასიათებელი სპეციფიკური ჰაბიტატების დამატების საშუალებას). ასევე შერჩეულ იქნა ინსტიტუცია, რომელსაც მიენიჭა ტაქსონომიური საკითხების რეგულირების უფლება-მოსილება. ეს ფუნქცია დაეკისრა „ევროპის ბიომრავალფეროვნების ტოპიკ-

ცენტრს (European Topic Centre on Biological Diversity), რომელსაც ხშირად „პარიზის ტოპიკ ცენტრსაც“ უწოდებენ.

„ჰაბიტატების დირექტივა“ მოიცავს 200 ჰაბიტატსა და 1000-ზე მეტ სახეობას. ჰაბიტატების ნუსხა წარმოდგენილია დირექტივის პირველ დანართში და მათი დაცვა სავალდებულოა ევროკავშირის წევრი ქვეყნებისთვის.

## ევროკავშირის ფრინველთა დირექტივა

ევროპის პარლამენტისა და ევროპის საბჭოს დირექტივა „ველური ფრინველების დაცვის შესახებ“ (Directive on the Conservation of Wild Birds 79/409/EEC მიღებულია 1979 წელს).

ფრინველების დირექტივა მიზნად ისახავს ველური ფრინველების დაცვას ევროკავშირის მთელ ტერიტორიაზე (როგორც სახმელეთო, ისე საზღვაო ჰაბიტატებში) რესურსების გამოყენების კონტროლისა და მდგრადი მენეჯმენტის განხორციელების გზით. დირექტივა გულისხმობს როგორც უშუალოდ ფრინველების, ასევე მათი კვერცხების, ბუდეებისა და საარსებო გარემოს დაცვას, რათა უზრუნველყოფილ იქნეს ფრინველთა პოპულაციის რიცხოვნობის შენარჩუნება ეკოლოგიურად სახარბიელო დონეზე.

დირექტივა ყველა მონაწილე მხარეს ავალდებულებს: დაიცვას, შეინარჩუნოს ან აღადგინოს ისეთი ჰაბიტატები, რომლებიც მნიშვნელოვანია დირექტივის პირველ დანართში შესული ველური ფრინველების არსებობის, ბუდობისა და გამრავლებისათვის. გარდა ამისა, წევრი ქვეყნები ვალდებულნი არიან დაიცვან გადამფრენი ფრინველებისთვის მნიშვნელოვანი ტერიტორიები. ევროპის ტერიტორიაზე ადამიანის მრავალსაუკუნოვანი სამეურნეო საქმიანობის შედეგად, ფრინველთა ბუნებრივი ჰაბიტატების დიდი ნაწილი უკვე განადგურებული ან სერიოზულად სახეცვლილია. შესაბამისად, დირექტივა ევროკავშირის წევრ ქვეყნებს ავალებს ფრინველთა ისტორიული ჰაბიტატების აღდგენის ხელშეწყობას, თუმცა ითვალისწინებს ეკონომიკური საქმიანობის განხორციელების ინტერესებსაც.

დირექტივა ველური ფრინველების ჰაბიტატების შენარჩუნების საკითხებსაც არეგულირებს, რაც პირველ რიგში, გულისხმობს ზემოაღნიშნული სახეობებისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი საიტების იდენტიფიცირებას, იქ არსებული სახეობების შესახებ სამეცნიერო ინფორმაციის შეგროვებასა და ამ მონაცემების ევროკომისიისათვის წარდგენას. ასეთ ტერიტორიებს „სპეციალურ დაცვის არეალებს“ (Special Protection Areas - SPAs) უწოდებენ.

ყურადღება გამახვილებულია ფრინველების დასასვენებლად მნიშვნელოვან ადგილებზე, როგორიცაა მაგალითად: ჭალის ტყეები, მდინარეები, ტბები ან თუნდაც სტეპები და სასოფლო-სამეურნეო მიწებზე შემორჩენილი ტყის მონაკვეთები.

უნდა აღინიშნოს, რომ „სპეციალური დაცვის არეალები“ ისევე როგორც NATURA 2000-ის ქსელის საიტები არ უნდა განვიხილოთ როგორც კლასიკური დაცული ტერიტორიები (ნაკრძალი, ეროვნული პარკი და სხვა). რა თქმა უნდა, თუ მოცემული ქვეყნის მთავრობა საჭიროდ ჩათვლის, მას შეუძლია ამგვარი „საიტების“ დაცულ ტერიტორიებად გამოცხადება, მაგრამ ეს სავალდებულო მოთხოვნა არ არის. ევროკომისია წევრი ქვეყნებისგან ითხოვს ფრინველების გადარჩენისა და გამრავლებისთვის აუცილებელი პირობების შენარჩუნებას, რაც, პირველ რიგში, გულისხმობს მათი არსებობისთვის მნიშვნელოვანი ჰაბიტატების შენარჩუნებას, ფრინველების შეწუხების ფაქტორების შერბილებას, საკვები ბაზის შენარჩუნებასა და სხვა მიზანმიმართულ ქმედებებს.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ტერიტორიის NATURA 2000-ის საიტად ან „სპეციალური დაცვის არეალად“ გამოცხადების შემდეგ, ამ ტერიტორიაზე სამეურნეო საქმიანობა კვლავაც გრძელდება, თუმცა შესაბამისი სახეობებისა და ჰაბიტატების დაცვის უზრუნველყოფით.

ყოველი ახალი პროექტის დაწყებამდე აუცილებელია ე.წ „შესაბამისი გარემოსდაცვითი ეფასების“ ჩატარება. ეს პროცედურა „გარემოზე ზემოქმედების შეფასების“, ანუ გზშ-ს მსგავსია, თუმცა უფრო მორგებულია დირექტივით დაცული სახეობებისა და ჰაბიტატების შენარჩუნებაზე და ხასიათდება ბევრად მკაცრი მოთხოვნებით, ვიდრე ჩვეულებრივი გზშ.

# ევროპის ველური ბუნებისა და ბუნებრივი ჰაბიტატების დაცვის კონვენცია (ბერნი, 1979)

ევროპის ველური ფლორისა და ფაუნის და მათი ჰაბიტატების დაცვის საერთაშორისო ლეგალური ინსტრუმენტია. მისი ერთ-ერთი უმთავრესი მიზანია კონვენციაზე მიერთებულ ქვეყნებში ბიომრავალფეროვნების დაცვისა და ბიოლოგიური რესურსების მდგრადი გამოყენების პრინციპების დანერგვის ხელშეწყობა. ამასთან, კონვენცია მოქმედებს როგორც გაეროს „ბიომრავალფეროვნების დაცვის კონვენციის“ დანერგვის ევროპული ინსტრუმენტი. კონვეციის პრიორიტეტებში შედის მონაწილე ქვეყნებს შორის სამეცნიერო თანამშრომლობის განვითარება და ერთობლივი ქმედებების განხორციელების ხელშეწყობა.

ბერნის კონვენცია მთავარ აქცენტს აკეთებს მაღალი რისკის ქვეშ მყოფი ბუნებრივი ჰაბიტატებისა და მოწყვლადი სახეობების, მათ შორის, მიგრირებადი სახეობების დაცვაზე.

„ჰაბიტატებისა“ და „ფრინველების“ დირექტივებისგან განსხვავებით, რომელთა სამოქმედო არეალი ევროკავშირია, ბერნის კონვენციის მოთხოვნების შესრულება სავალდებულოა ყველა იმ ქვეყნისთვის, რომელიც მიერთებულია ამ კონვენციასთან იმის მიუხედავად, არის თუ არა იგი ევროკავშირის წევრი, მაგალითად: შვეიცარია, ნორვეგია, აღმოსავლეთ ევროპისა და ჩრდილოეთ აფრიკის ზოგიერთი ქვეყანა. ბერნის კონვენციაზე 51 ქვეყანაა მიერთებული, მათ შორის საქართველოც, რომელიც მას 2008 წელს შეუერთდა.

ბერნის კონვენციის მხარე ქვეყნები მუდმივად იღწვიან ევროპის ველური ფლორისა და ფაუნის დაცვისათვის საჭირო მეთოდოლოგიის განვითარებისა და მონაწილე ქვეყნებს შორის გამოცდილების გაზიარებისთვის. „ნატურა 2000-ის“ ქსელის ჩამოყალიბების პროცესსა თუ სხვა ევროპული დირექტივების წყალობით დაგროვილი დიდძალი გამოცდილება და ცოდნა, ასევე, შემუშავებული მეთოდოლოგია პრინციპები ინტენსიურად გამოიყენება ბერნის კონვენციის ფარგლებში მიმდინარე პროცესებშიც.

კონვენციის საქმიანობაში ჩართული ექსპერტები ქმნიან ახალ სახელმძღვანელო დოკუმენტებს და ამუშავებენ რეკომენდაციებს, რომელთა გაზიარება ყველა მონაწილე მხარესთან ხდება. ყოველივე ეს ხელს უწყობს ბიომრავალფეროვნების კონსერვაციასა და ბიოლოგიური რესურსების მდგრად მართვას ევროკავშირის პარტნიორ ქვეყნებში, მათ შორის, საქართველოშიც.

ბერნის კონვენციის ფარგლებში დაცული სახეობებისა და ჰაბიტატების ნუსხა მითითებულია კონვენციის შესაბამის დანართებში: დანართი I მოიცავს დაცული ჰაბიტატების სიას, ხოლო დანართი II - სახეობებს, რომელთა დასაცავად აუცილებელია მაღალი კონსერვაციული ღირებულების მქონე ტერიტორიების შერჩევა და დეზიგნაცია. კონვენციის ამოქმედებიდან დღემდე, ამ დანართებში მრავალი ცვლილება და დამატება შევიდა. დაცული ჰაბიტატებისა და სახეობების ამჟამინდელი სრული სიები მოცემულია კონვენციის მუდმივმოქმედი კომიტეტის რეზოლუციებში: რეზოლუცია #4 მოიცავს დაცულ ჰაბიტატებს, რეზოლუცია #6 - დაცულ სახეობებს.

ბერნის კონვენციის თითოეული მხარე ქვეყანა ვალდებულია:

- ეროვნულ დონეზე მოახდინოს კონვენციით დაცული ველური ფლორისა და ფაუნის წარმომადგენლებისა და მათი ჰაბიტატების დაცვა;
- არ დაუშვას კონვენციით დაცული სახეობების პოპულაციების შემცირება, მათი ბუნებრივი ჰაბიტატების განადგურება და დაბინძურება;
- რეგულარულად შეაგროვოს კონვენციით დაცული ველური სახეობებისა (მათ შორის, გადამფრენი ფრინველების) და მათი ბუნებრივი ჰაბიტატების შესახებ სამეცნიერო ინფორმაცია და მოახდინოს მათი მდგომარეობის მონიტორინგი.

# ევროპის ბუნების ინფორმაციული სისტემა ანუ EUNIS ჰაბიტატების კლასიფიკაციის სისტემა

ქვეყნის ჰაბიტატების გამოვლენა და კლასიფიკაცია ურთულეს საკითხს წარმოადგენს. უნიფიცირებული კლასიფიკაციის სისტემის არარსებობა წლების განმავლობაში ბევრ გაუგებრობას იწვევდა და ართულებდა კონსერვაციული საქმიანობების ეფექტურ დაგეგმვასა და წარმართვას.

როგორც აღინიშნა, ჰაბიტატების დირექტივა არეგულირებს ჰაბიტატების კლასიფიკაციის საკითხს. ამ მიზნით 2004 წელს შემუშავდა და 2012 წლიდან ძალაში შევიდა ევროპის ჰაბიტატების კლასიფიკაციის ახალი სისტემა - ევროპის ბუნების ინფორმაციული სისტემა, რომელიც EUNIS ჰაბიტატების კლასიფიკაციის სისტემით არის ცნობილი. აღნიშნულმა სისტემამ ჩაანაცვლა ე.წ. CORINE ის სისტემა, რომელიც 1985-1990 წლებში CORINE Biotopes project-ის ფარგლებში შემუშავდა და „ჰაბიტატების დირექტივის“ მიღების მომენტში ევროპის ჰაბიტატების კლასიფიკაციის ერთადერთი უნიფიცირებული სისტემა იყო.

EUNIS წარმოადგენს ჰაბიტატების კლასიფიკაციის პან-ევროპულ სისტემას, რომელიც მთელი ევროპის მასშტაბით უზრუნველყოფს ჰაბიტატების აღწერისა და მონაცემების შეგროვების ერთიან ჰარმონიზირებულ მიდგომებს. EUNIS არ არის მხოლოდ კლასიფიკაციის სისტემა. იგი წარმოადგენს ევროპის ბუნების საინფორმაციო სისტემის ნაწილს, რომელითაც ოპერირებს ევროპის გარემოს სააგენტო (European Environment Agency (EEA)) და ინტეგრირებულია ე.წ „ევროპის გარემოსდაცვითი ინფორმაციის სადამკვირვებლო ევროპულ ქსელში“ (The European Environmental Information Observation Network (EIONET)[1].

ახალი კლასიფიკაციის სისტემა მოიცავს ევროპაში წარმოდგენილი ყველა ტიპის ბუნებრივ და ხელოვნურ ჰაბიტატს, ასევე მათ ამსახველ მონაცემთა ელექტრონულ ბაზას და ახსნა-განმარტებით დოკუმენტაციას. ძველი კლასიფიკაციის სისტემებისგან განსხვავებით, რომლებიც ტრადიციულად მხოლოდ ფიტოსოციოლოგიურ ასპექტებს ითვალისწინებდა, EUNIS გარემოს ფიზიკურ

ფაქტორებსაც ითვალისწინებს და ჰაბიტატებს ყოფს სამ ჯგუფად: ხმელეთის, მტკნარი წყლებისა და ზღვის ჰაბიტატებად. აღნიშნული ჰაბიტატები იერარქიული სახითაა წარმოდგენილი და გეოგრაფიულად ფარავს მთელ ევროპას ატლანტიკიდან ურალის მთებისა  და კავკასიის ჩათვლით. გარდა ამისა, EUNIS-ის კლასიფიკაციის სისტემა იძლევა ახალი, მათ შორის, კავკასიისა და საქართველოსთვის დამახასიათებული სპეციფიკური ჰაბიტატების დამატების საშუალებასაც.

გარდა ამისა, „ზურმუხტის ქსელის“ განვითარების პროექტის ფარგლებში საქართველოში იდენტიფიცირებულ იქნა ჰაბიტატები, რომელთა „სახარბიელო კონსერვაციული სტატუსის“ შენარჩუნება წარმოადგენს ქვეყნის ვალდებულებას ბერნის კონვენციისა და ევროკავშირი-საქართველოს ასოცირების ხელშეკრულების ფარგლებში. აღნიშნული ჰაბიტატები წარმოდგენილია ბერნის კონვენციის მუდმივმოქმედი კომიტეტის მე-4 რეზოლუციაში და შეესაბამებიან ჰაბიტატების დირექტივის პირველ დანართში მითითებულ ჰაბიტატებს. მათი აღწერა ასევე განხორციელდა EUNIS-ის კლასიფიკაციის მიხედვით და ისინი მიეკუთვნებიან მკაცრად დასაცავი ჰაბიტატების კატეგორიას. აღნიშნულ ჰაბიტატთა მდგომარეობის შესახებ ქვეყანა ვალდებულია, აწარმოოს მონიტორინგი და მიაწოდოს ინფორმაცია ევროსაბჭოსა და ევროკომისიას.

ჰაბიტატთა კლასიფიკაციის სქემა მოიცავს ჰაბიტატების 10 მსხვილ ერთეულს (A-J):

- A - ზღვის ჰაბიტატები (Marine habitats)
- B - სანაპიროს ჰაბიტატები (Coastal habitats)
- C - ხმელეთის შიდა ზედაპირული წყლები (Inland surface waters)
- D - ჭაობები და დაჭაობებული ადგილები (Mires, bogs and fens)
- E - ნაირბალახეულით, ხავსებითა და მღიერებით დომინირებადი მდელოები და მიწის ნაკვეთები (Grasslands and lands dominated by forbs, mosses or lichens)
- F - დაბალი ბუჩქნარი და ტუნდრა, გაუდაბურებული ადგილები (Heathland, scrub and tundra)

- G - ტყიანი ადგილები, ტყე და ხეებით დაფარული სხვა ადგილები (Woodland, forest and other wooded land)
- H - მცენარეულობას მოკლებული ხმელეთის შიდა და მცენარეულობით მეჩხერად დასახლებული ჰაბიტატები (Inland unvegetated or sparsely vegetated habitats)
- I - საკვები კულტურების რეგულარულად ან ახლად კულტივირებადი, მებაღეობის და საოჯახო ჰაბიტატები (Regularly or recently cultivated agricultural, horticultural and domestic habitats)
- J - კონსტრუირებული, სამრეწველო და სხვა ხელოვნური ჰაბიტატები (Constructed, industrial and other artificial habitats).

თითოეული მათგანი დაყოფილია იერარქიულ დონეებად და ეს დონეები სხვადასხვა მსხვილ ერთეულში ამ ერთეულის შესაბამისი პრინციპის საფუძველზეა გამოყოფილი. იერარქიულ დონეებად დაყოფის პრინციპები თითოეული მსხვილი ერთეულისათვის განმარტებულია სახელმძღვანელო დოკუმენტში (EUNIS Habitat Classification - (Davies et al., 2007).

„ზურმუხტის ქსელის“ განვითარების პროგრამის ფარგლებში პირველად განხორციელდა საქართველოს ჰაბიტატების სისტემის ევროპის ჰაბიტატთა კლასიფიკაციის სქემასთან (Davies et al., 2007) მისადაგება. ასევე, როგორც აღინიშნა, მოხდა ბერნის კონვენციის მუდმივმოქმედი კომიტეტის მე-4 რეზოლუციაში მითითებული ჰაბიტატების იდენტიფიცირება. აღნიშნული პროცესი ამჟამად დახვეწის საფეხურზეა და უახლოეს მომავლაში მოხდება მკაცრად დასაცავი ჰაბიტატების სრული სიის იდენტიფიცირება.

## „ზურმუხტის ქსელის“ განვითარების პროექტის ფარგლებში, იდენტიფიცირებული 33 ჰაბიტატი (მკაცრად დასაცავი ჰაბიტატები), ბერნის კონვენციის მუდმივმოქმედი კომიტეტის მე-4 რეზოლუციის მიხედვით[2].

- A1.11 ორსაგდულიანებისა (კლასი Bivalvia) და/ან ულვაშფეხიანი კიბოსნაირების (ქვერიგი Lepadomorpha) თანასაზოგადოებები
- A2.2 ლიტორალური ქვიშა და ტალახიანი ქვიშა
- A2.5 სანაპირო მლაშე ჭარბწყლიანი არეები და მლაშე ლელიანები
- A3 ინფრალიტორალური კლდეები და სხვა მყარი სუბსტრატები
- B1.6 სანაპირო დიუნების ბუჩქნარი
- C1.1 მუდმივი ოლიგოტროფული ტბები, ტბორები და გუბურები
- C1.224 მოტივტივე Utricularia australis-ისა და Utricularia vulgaris-ის კოლონიები
- C1.225 მოტივტივე [Salvinia natans] ხალიჩები
- C1.5 მუდმივი შიდა მლაშე და მომლაშო ტბები, ტბორები და გუბურები
- C1.66 დროებითი შიდა მლაშე და მომლაშო წყლები
- C3.4 სახეობებით ღარიბი დაბალმოზარდი სანაპირო და წყალ-ხმელეთა (ამფიბიური) მენარეული საფარი
- C3.421 მაღალმოზარდი ხმელთაშუაზღვისპირული წყალ-ხმელეთა (ამფიბიური) თანასაზოგადოებები
- C3.43 ცენტალურ-აზიური წყალ-ხმელეთა (ამფიბიური) თანასაზოგადოებები
- C3.55 კენჭოვანი მდინარისპირების მეჩხერი მცენარეულობა
- C3.62 მცენარეულ საფარს მოკლებული მდინარის კენჭოვანი ნაპირები
- D1 გუმბათიანი და საფრიანი ჭაობები
- D4.1 მდიდარი ჭაობები, მათ შორის, ეუტროფული მაღალბალახოვანი ჭაობები და კარბონატული ჭარბწყლიანი ჰაბიტატები
- D4.2 მაღალმთის ფუძე წყალსატევთა და მდინარეთა ნაპირები მდიდარი არქტიკულ-ალპური ფლორით
- D6.1 ხმელეთის შიდა მლაშე ჭაობები
- E1.2 მრავალწლოვან ბალახოვან მცენარეთა საფარი კირქვიანებზე და სტეპი ფუძე სუბსტრატებზე
- E1.3 ხმელთაშუაზღვისპირული ქსეროფიტული ბალახოვანი ცენოზები
- E1.71 ძიგვიანები (Nardus stricta-ს რაყები)
- E1.83 ხმელთაშუაზღვისპირულ-მონტანური ძიგვიანები (Nardus stricta-ს რაყები)

- E3.5 ნოტიო ან სველი ოლიგოტროფული ბალახოვანი ცენოზები
- E5.4 ნოტიო ან სველი მაღალბალახოვანი და გვიმრიანი არშიები და მდელოები
- E5.415 აღომსავლეთის ნემორალური მდინარისპირები მაღლაბალახოვანი ცენოზებით
- E6.2 შიდა კონტინენტური დამლაშებული სტეპები
- F7 ეკლიანი ხმელთაშუაზღვისპირული ფრიგანა, ბალიშა მცენარეული საფარი და სანაპირი კლდეთა სხვა მსგავსი მცენარეულობა
- F9.1 მდინარისპირა ბუჩქნარი
- F9.3 სამხრეთული ჭალის პარკული ტყეები და რაყები (გარდა F9.35-ისა: ინვაზიური ბუჩქების მდინარისპირა რაყები)
- G1.11 ჭალის ტირიფნარი
- G1.12 ბორეო-ალპური ჭალის პარკული ტყეები
- G1.21 მდინარისპირა Fraxinus – Alnus-ის ტყე, რომელიც მხოლოდ წყლის დონის აწევისას სველდება
- G1.3 ხმელთაშუაზღვისპირული ჭალის ტყე
- G1.37 ირანულ-ანატოლიური შერეული ჭალის ტყეები
- G1.44 შავი და კასპიის ზღვის სველ-ნიადაგიანი ტყე
- G1.6 წიფლნარი
- G1.8 აციდოფილური ტყე მუხის დომინირებით
- G1.A1 Quercus - Fraxinus - Carpinus betulus-ის ტყე ეუტროფულ და მეზოტროფულ ნიადაგებზე
- G1.A4 ხევებისა და ფერდობების ტყე
- G1.A7 შავი და კასპიის ზღვების შერეული ფოთოლმცვენი ტყე
- G3.17 ბალკანურ-პონტოური სოჭნარები
- G3.1H აღმოსავლური ნაძვის (Picea orientalis) ტყეები
- G3.4E ევროპული ფიჭვის (Pinus sylvestris) პონტურ-კავკასიური ტყეები
- G3.9 წიწვიანი ტყე Cupressaceae-ს ან Taxaceae-ს დომინირებით
- H1 ხმელეთის მიწისქვეშა მღვიმეები, მღვიმეთა სისტემები, მიწისქვეშა მდინარეები და წყალსატევები